პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 109 (7670)

7 ივნისი, ხუთშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

„ჩვენ თოთხმეტი წლისანი ვართ“

განახლებული ადგილის დედა

გალავერი

გუშინწინ დიდი ხნის დაკარგული სიყმაწვილე გავიხსენეთ. თურმე ზუსტად ასე ეყრებოდა საფუძველი ქართული კალათბურთის სახელოვან ტრადიციებს სადღაც 40-იანი წლების მიწურულს. ხალხიც თითქოს იხეთივე სადღესასწაულო გუნებაზე იყო, გუნდებიც ძველებური მონდომებითა და აზარტით თამაშობდნენ. ენით აუწერელ ხმაურსა და ჟრიამულში კარგად არც გვესმოდა მსაჯის სასტვენის ხმა. ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ანგარიში ტაბლოზე და... მაყურებლების რეაქცია.
კიროვის პარკში კი ხალხი მოდიოდა და მოდიოდა...

ასე ყოფილა წინათ, როცა ამ მოედანზე თამაშს იწყებდნენ და ამთავრებდნენ ქართული კალათბურთის ვარსკვლავები. ასე იყო მაშინ, როცა ოფიცერთა სახლის პოპულარული გუნდი ყოველმხრივ ცდიდა და ამოწმებდა თავისი უმცროსი კოლეგის — „დინამოს“ ახალგაზრდული კოლექტივის ოსტატობას. მერეც ასე იყო, უკვე 50-იანი წლების დასაწყისში, როცა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა, როგორც წესი, თავს უყრიდა ყოველი კლუბიდან, სულ ცოტა, ხუთ გუნდს.

კიროვის პარკში ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. აქ კალათბურთის პოპულარობით შეუდომლად იზომებოდა ქალაქის სპორტული მაჯისცემა.

ხალხი კი საყვარელი თამაშის სანახავად მოდიოდა და მოდიოდა...

დღეს თითქოს გაცოცხლდა ქართული კალათბურთის ადგილის დედა, ახალი ფერებით შეივსო და გალამაზდა ძველი სურათები.

ორი წლის წინ ისინი სულ ნორჩები იყვნენ. ახლა თოთხმეტისანი გამხდარან, თითქოს დალვინდნენ, დავაჟკაცდნენ. თოთხმეტი წლის ბიჭებმა ამ დღეებში დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს უმთავრესად ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით და ოსტატობით. შეცდომებსაც კი (რა დასამალია, შეცდომა ხშირად მოსდიოდათ) რაღაც საგანგებო, სიმწიფისა და კაცურობის დაღი ესვა. ასე მხოლოდ ჩამოყალიბებული და ზრდადასრულებული კალათბურთელები ცდებიან. ასე თავგამოდებით მხოლოდ ბრძოლებში ნაცადი, რთულ სიტუაციებზე გამოვლილი ოსტატები თამაშობენ.

ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა, ბევრი რამ უახლოეს დღეებში გაირკვევა. მაგრამ იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ თოთხმეტი წლის ბიჭუნებმა, თავისდა უნებურად, ეს ზღვა ხალხი კალათბურთს დაუბრუნეს, ერთხელ კიდევ შემოიპატიჟეს კიროვის სახელობის პარკში.

ეს პატარა წერილი აქვე შეგვეძლო დაგვესრულებინა, მაგრამ გაზეთს ლირიკის მოყვარული ხალხის გარდა პრაქტიკული ყაიდის მკითხველიც ჰყავს. ისინი კი მუდამ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ითხოვენ ნებისმიერ ტურნირზე. მათ საყურადღებოდ ვაზუსტებთ.

საკავშირო ტურნირში — „ჩვენ თოთხმეტი წლისანი ვართ“ ლიდერობენ: I ქვეჯგუფში „მართვე“ პირველი, რომელმაც უკვე ოთხი შეხვედრა მოიგო („ლოკომოტივთან“ — 79:46, კიევთან — 97:53, თელავთან — 74:25 და პირველ „დინამოსთან“, თავის მთავარ კონკურენტთან — 77:73).

II ქვეჯგუფში დაწინაურდა „მართვეს“ მეორე გუნდი (რუსთავთან — 111:51, მეორე „დინამოსთან“ — 84:38, ქუთაისთან —80:57. ქვეჯგუფის ბოლო მატჩს იგი „მართვე“ მესამესთან ჩაატარებს).

მერე გადამწყვეტი ბრძოლები დაიწყება.

გოგონათა ტურნირში კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, მაგრამ ლიდერის ვინაობა აქაც ცნობილია. „მართვემ“ უკვე მოიგო სამი ბრძოლა.

ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სწორედ გუშინწინ გაიმართა. ამ მატჩის ორივე მონაწილემ მოგვხიბლა ლამაზი და აზრიანი თამაშით. ამჯერად უფრო ძლიერი იყო „მართვე“, თუმცა არანაკლებ ქებას იმსახურებენ დინამოელებიც (ლაპარაკია პირველ



გუნდებზე). ბევრი რამ იყო ყურადსაღები და სამაგალითო ამ შეხვედრაში, ბევრი რამ — საკამათო. მაგრამ ლამაზ საკალათბურთო სპექტაკლში ორივე მხარე ერთმანეთის ღირსი ჩანდა. ჩვენ უფრო ამან გაგვახარა.

კალათბურთის ზეიმი გამოვიდა. გულახდილი მადლობა ამისათვის ტურნირის ორგანიზატორებს. მათთან ერთად მადლობა თავად ნორჩ სპორტსმენებს, რომლებმაც ასეთი სიყვარულით გაგვიცოცხლეს მრავლის მომსწრე და მნახველი ქართული კალათბურთის ადგილის დედა.

ნოდარ გუგუშვილი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მთავარი მატჩის ფრაგმენტი — თამაშობენ „მართვესა“ და „დინამოს“ ჭაბუკები; იძულებითი წუთშესვენება; ამ სიხარულს რა დამალავს — „მართვემ“ გაიმარჯვა!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

როგორ სრულდება გეგეჭკორისა და ბოლნისის რაიონებში სადირექტივო ორგანოების დადგენილებები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 21 იანვრის კრების გადაწყვეტილებანი, რას აკეთებს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საბინაო მეურნეობის ტრესტი საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაშლელად — აი, ამ საკითხებზე იყო საუბარი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის ამაღლებისა და მშდ კომპლექსის ფართოდ დანერგვის რესპუბლიკური ოპერატიული შტაბის მორიგ სხდომაზე.

პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იგრძნოს

აღინიშნა, რომ გეგეჭკორის რაიონში (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. პატარაია) ბოლო წლებში ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. რაიონის სპორტკომიტეტი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ამკვიდრებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ნაცად ფორმებს, ხშირად მართავს მასობრივ შეჯიბრებებს, ზრუნავს სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის. რაიონის თითქმის ყველა სოფელში საფეხბურთო მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ნახერხმოყრილი საჭიდაო წრე. ღია სპორტული მოედნები აქვთ საშუალო და რვაწლიან სკოლებსაც. გაუმჯობესდა რაიონის სპორტსმენთა შედეგები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. შარშან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა გეგეჭკორელი ველოსიპედისტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მერაბ სურმავა; სისტემატურად სრულდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლები.

შტაბის სხდომამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რაც ჯერ კიდევ შეინიშნება გეგეჭკორის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. როგორც შემოწმებით დადასტურდა, უმოქმედოდაა ზოგიერთი ფიზკულტურული კოლექტივი, ბევრგან მივიწყებულია მასობრივი მუშაობა, თითქმის არაფერი კეთდება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურის დანერგვისათვის. გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში კი, სადაც 465 ახალგაზრდა სწავლობს, შეიძლება ითქვას, საგანგაშო მდგომარეობაა. აქ თითქმის არაფერი კეთდება მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის, არ მუშაობს სექციები, ფიქციურადაა შედგენილი სტატისტიკური ანგარიში, სპორტული სექციების ჟურნალში შეტანილია იმ მოსწავლეთა გვარებიც, რომლებმაც კარგა ხანია დაამთავრეს ტექნიკუმი (!), მოუვლელია სპორტული დარბაზი და მოედნები, გასახდელები საწყობად „გადაუკეთებიათ“.

შტაბის სხდომამ პრინციპულად იმსჯელა ბავშვთა და მოზარდთა რაიონული სპორტსკოლის საქმიანობაზე. ამ სკოლას წლების მანძილზე არ ჰქონდა საკუთარი სპორტული ბაზა. შარშან მას გადაეცა ნახარებაოს რვაწლიანი სკოლის შენობა, მაგრამ ამ ძველ, ექვსოთახიან, ჩაბნელებულ ფიცრულში საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია. ცხადია, ასეთ პირობებში სპორტული სკოლა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, იგი ვერ იქცა ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, პერსპექტიულ მოზარდთა დაოსტატების კერად.

ოპერატიული შტაბის სხდომაზე გააანალიზეს ბოლნისის რაიონში (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. კორძაძე) ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემოწმების მასალები. ითქვა, რომ ამ რაიონის 68 ფიზკულტურულ კოლექტივში 25 214 ადამიანია გაერთიანებული. დანერგილია სპორტის 13 სახეობა. ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში ფიზკულტურული მუშაობა სასურველ დონეზე დგას. ამ რაიონის სპორტსმენები ერთგვარ წარმატებებსაც აღწევენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მაგრამ მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისთვის, მშრომელთა გაჯანსაღებისთვის მაინც არ ზრუნავენ ისე, როგორც სადღეისო მოთხოვნებს შეეფერება. ადგილობრივი სპორტკომიტეტი ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდება ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულებას. სათანადოდ ვერ მუშაობენ „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ რაიონული საბჭოები. რამდენიმე ორგანიზაციაში საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული ფიზკულტურული კოლექტივი, ეპიზოდურად ტარდება მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, ფიზკულტურის მეთოდისტთა უმრავლესობას არა აქვს სპეციალური განათლება, ზოგ დაწესებულებაში კი მეთოდისტის შტატი საერთოდ გაუქმებულია.

შემმოწმებელმა ბრიგადამ არაერთი ნაკლოვანება გამოავლინა რაიონის სპორტული სკოლის მუშაობაში, სადაც სპორტის 4 სახეობის 13 ჯგუფია გახსნილი. ვარჯიშები დაბალ დონეზე ტარდება, მეცადინეობები სისტემატურად ცდება, არა აქვთ გეგმა, ჟურნალი. იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები, სპორტული დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია... ერთი სიტყვით, სრული განუკითხაობაა. სპორტული სკოლა გარიყულა რაიონის ფიზკულტურული ცხოვრებისაგან. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბოლნისის მოსწავლეთა ნაკრები შარშან რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე III ჯგუფის გუნდებს შორის 30-ე (!) ადგილზე დარჩა. შტაბის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლნისის სპორტულ სკოლაში ასეთი „მუშაობა“ წლების მანძილზე გრძელდება, რაიონის განათლების განყოფილება კი მხოლოდ პასიური მეთვალყურის როლში გამოდის.

გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩაბმა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. ბოლო ხანს საცხოვრებელ უბნებში ხშირად ტარდება „ჯანმრთელობის“ სპარტაკიადები, საოჯახო შეჯიბრებები, სხვა მასობრივი ღონისძიებები, ბევრგან გაიხსნა ბავშვთა სპორტული კლუბები, მოეწყო სპორტული მოედნები. მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ყველგან გულისყურითა და პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან. როგორც ოპერატიული შტაბის სხდომაზე აღინიშნა, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საბინაო მეურნეობის ტრესტის მესვეურები (მმართველი თ. ძნელაძე), 89-ე, 90-ე, 91-ე, 93-ე და 94-ე სახლმმართველობები თითქმის არაფერს აკეთებენ საცხოვრებელ ადგილებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის. მიუხედავად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, არც ერთ ზემოდასახელებულ სახლმმართველობაში არ არის დაშვებული ფიზკულტურის ინსტრუქტორის შტატი, საქმიანი კონტაქტები არა აქვთ დამყარებული ადგილობრივ სპორტულ ორგანიზაციებთან, იშვიათად აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებს, მოუვლელია ღია სპორტული მოედნები, საჭყუმპალაოები, უმოქმედოდაა ბავშვთა სპორტული კლუბები.

ოპერატიული შტაბის სხდომამ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს მკაცრად მიუთითა არსებულ ნაკლოვანებებზე და დაავალა დროზე გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნისათვის.

დარჩა ორი ეტაპი

ერევანი, 6 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის IX ეტაპი — გუნდური რბოლა 75 კმ-ზე.

ფინიშთან პირველი იყო საქართველოს „დინამო“ — 1:34.52. მომდევნო ადგილები დაიკავეს თბილისის არმიელებმა (1:35.53) და აზერბაიჯანის „მეხსულის“ ველოსიპედისტებმა (1:38.01).

ცხრა ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს „მეხსული“ — 80:36.53. არმიის სპორტული კლუბის გუნდს მეორე შედეგი აქვს — 80:41.27. მესამე ადგილზეა „კოლმეურნე“ (80:59.41), რომელსაც გუნდში მხოლოდ სამი მონაწილე დარჩა.

დღეს მოეწყობა ველორბოლის X ეტაპი ერევანი — ლენინაკანი. ხვალ რბოლა დამთავრდება.

ანზორ პიპინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დიალოგი ცხრილთან

ბორის პაიჭაძე

„სტატისტიკა“. ალბათ არ არსებობს სხვა, მეორე ამგვარად „ერთაზროვანი“ სიტყვა. სტატისტიკა — იტყვი ან გაიგონებ და თვალწინ უთვალავი ციფრი წარმოგიდგება. ეს ციფრები ზოგს მშრალ, არაფრისმთქმელ მონაცემებად მიაჩნია, ბევრისთვის კი ყველაზე მეტყველი, ყველაზე მდიდარი ენაა.

ახლა არ შევუდგებით იმის განსჯას, რომელია ჭეშმარიტება. ვიტყვით მხოლოდ, რომ სტატისტიკა მარტო ციფრები არ არის, მის უკან დიდი და საინტერესო სინამდვილეა.

„დიალოგი ცხრილთან“ — ასე ჰქვია ჩვენს ახალ რუბრიკას, რომელსაც ქართული ფეხბურთის სწორუპოვარ რაინდზე, ტყავის ბურთის შეუდარებელ ვირტუოზზე — **ბორის პაიჭაძეზე** წერილით ვხსნით. შემდეგ კი მსგავს პუბლიკაციებს 1964 წლის ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ გმირებზე შემოგთავაზებთ.



ციფრებით დავიწყებ. ბორის პაიჭაძემ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საკავშირო პირველობის 181 მატჩში ითამაშა და 98 ბურთი გაიტანა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან შეიტყობთ, როგორ ნაწილდება ეს მატჩები და გოლები საკუთარ მოედანზე თუ სტუმრად წლების მიხედვით:

წელი	სულ მატჩები	სულ გოლები	საქ. მინ. მატჩები	საქ. მინ. გოლები	სტუმ. მინ. მატჩები	სტუმ. მინ. გოლები	ნეიტ. მინ. მატჩები	ნეიტ. მინ. გოლები
1936 შემოდგომა	7	6	5	5	2	1	—	—
1937	16	8	8	4	8	4	—	—
1938	24	14	11	5	12	7	1	2
1939	26	19	14	8	12	11	—	—
1940	24	11	13	6	11	5	—	—
1945	16	7	7	3	9	4	—	—
1946	22	14	11	10	11	4	—	—
1947	10	8	6	7	4	1	—	—
1949	12	1	7	0	5	1	—	—
1950	21	9	10	3	9	3	2	3
1951	3	1	2	1	1	0	—	—
სულ	181	98	94	52	84	41	3	5

ეს 98 გოლი 73 შეხვედრაზე ნაწილდება. პაიჭაძემ შვიდ მატჩში გაიტანა სამ-სამი გოლი, თერთმეტში — ორ-ორი, ორმოცდათხუთმეტში — თითო. ბორის პაიჭაძის მიერ „დაზარალებულია“ 26 გუნდი. ქართველმა ფეხბურთელმა 13-ჯერ აიღო კიევის „დინამოს“ კარი. 9 გოლი მოდის მოსკოვის „ტორპედოს“, 8 — ცსკა-ს, 6-6 — ლენინგრადის „დინამოსა“ და „ზენიტის“, აგრეთვე სტალინგრადის „ტრაქტორის“, 5—მოსკოვის „ლოკომოტივის“, 4-4 — მოსკოვის „დინამოსა“ და „მეტალურგის“ წილად. დანარჩენი 17 გუნდის კარში ბორის პაიჭაძეს გატანილი აქვს ერთიდან სამ გოლამდე.

თასის გათამაშებათა მატჩებში კი უფრო რთული ვითარებაა. არასრული მონაცემებით, პაიჭაძემ საბჭოთა კავშირის თასზე 40 მატჩში ითამაშა და 24 გოლი გაიტანა. მაგრამ ამ საკითხზე სტატისტიკოსები ვერ თანხმდებიან. თუმცა, ჩვენ თვითონ ბატონ ბორისთანაც გვექნება საუბარი და ამ ციფრს ალბათ მაშინ დავაზუსტებთ.

ციფრები, ცხადია, თავისთავად მრავლისმეტყველია, მაგრამ ისინი მაინც ვერ შეგვიქმნიან სრულ წარმოდგენას ბორის პაიჭაძის — როგორც მოთამაშის ნიჭსა და თვისებებზე. მოდით, ჩავიხედოთ ცნობარში „ყველაფერი სპორტის შესახებ“. იქ წავიკითხავთ: „პაიჭაძე ბორის სოლომონის ძე... გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელი... მასში საუცხოოდ ერწყმოდა ერთმანეთს ორგანიზატორული ნიჭი და იერიშის უნაკლო დაგეგმვინების უნარი. სისწრაფემ, მოხდენილმა თამაშმა, ორიგინალურმა დრიბლინგმა და სპორტულმა კეთილშობილებამ პაიჭაძეს საყოველთაო პატივისცემა მოუხვეჭა“.

ზუსტი დახასიათებაა, მაგრამ იგი მაინც არ იძლევა და ვერც მოგვცემს სრულ წარმოდგენას პაიჭაძე — ფეხბურთელზე. მაშ რა სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს მებრძოლი ფეხბურთელის ის დაუოკებელი სული, რომელიც პაიჭაძისაგან მთელ გუნდს გადაეცემოდა? რა შეიძლება ითქვას იმ თვალით უხილავ ძაფებზე, პაიჭაძეს ასე საიმედოდ რომ აკავშირებდა არა მარტო თანაგუნდელებთან, არამედ ტრიბუნებთანაც? არა, პაიჭაძე უნდა გენახათ! მე მინახავს იგი. ეს იყო 1947 წლის 15 ივნისს, როცა ჯერ კიდევ სულ მთლად ბავშვი პირველად მოვხვდი ფეხბურთზე. ტრიბუნაზე ჩემმა მეზობელმა, როცა დაინახა, რა გაფაციცებით ვეძებდი მოედანზე ვილაცას, მითხრა: „აგერ, პაიჭაძე. ხედავ? მეცხრე ნომერი რომ აწერია ზურგზე“. და იქვე დასძინა: „ეგ რომ კარისაკენ გაიჭრება, იცოდე, ან გოლია, ან პენალტი, ან კუთხური“. მე მონუსხული, თვალებად ქცეული მივჩერებოდი ჩემს კერპს. პაიჭაძე უდიდესი შთაგონებით თამაშობდა. მან პირდაპირ ხელ-ფეხი შეუკრა ლენინგრადის „ზენიტის“ დაცვას, ერთი ბურთი გაიტანა და, თუ მეტი არა, კიდევ ორი გოლიც მისი მომზადებული იყო. მატჩი დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 5:2. იმ დღეს მე გახლდით ერთ-ერთი იმ 30 ათას მაყურებელში, რომელთაც უკანასკნელად ნახეს სტადიონზე ჯან-ღონით სავსე, უდიდესი შთაგონებით მოთამაშე ბორის პაიჭაძე.

ამას მოჰყვა სამი მატჩი მეტოქეთა მინდვრებზე. მესამე შეხვედრაში, თასის გათამაშების მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან“, ქართველი ფეხბურთელი მძიმედ დაშავდა. საერთოდ, უნდა ითქვას, ამ მხრივ ბორის პაიჭაძეს ბედის მიმართ სამდურავი არ ეთქმოდა. 1936 წლიდან იმ საბედისწერო დღემდე დინამოელთა მიერ ნათამაშები 152 მატჩიდან მან მხოლოდ ექვსი შეხვედრა გამოტოვა. ახლა კი თითქმის ორი სეზონი გაუცდა. პირველობის 40 მატჩში თბილისელები თავიანთი კაპიტნის გარეშე გამოდიოდნენ მინდორზე.

და აი, ახლა ჩემს წინ ზის კაცი — ლეგენდა. განა ვიფიქრებდი იმ შორეულ ბავშვობის წლებში, რომ ოდესმე საშუალება მომეცემოდა, ასე დავმჯდარიყავი ჩემი კერპის გვერდით და აი, ასე, სულ უბრალოდ მესაუბრა მასთან ჩვენს უდიდეს სიყვარულზე—ფეხბურთზე? თმადათოვლილი, მაგრამ უწინდებურად მკვირცხლი და მოძრავი, იგი მთელი არსებით მოგონებათა ტყვეობაშია. გატაცებით ლაპარაკობს, დროდადრო სკამიდან წამოიჭრება და ცდილობს მიჩვენოს, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი მინდორზე. ასე მგონია, ბურთი რომ ჩაუგდოს კაცმა ფეხებში, უეცრად მოწყდება ადგილიდან და ისევ ქარიშხალივით დატრიალდება მინდორზე, ისარივით გავარდება მეტოქის კარისაკენ და ვაი მაშინ მეკარის ბრალი...

● **მაინც რა მოხდა იმ მატჩში, „ტორპედოსთან“?** — ეს არის ჩემი პირველი შეკითხვა.

— მარცხი მოხდა. იმ მატჩში ჩემი მეურვეობა ნიკოლაი მოროზოვს ჰქონდა დავალებული. მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით. გაუფრთხილებლად ვითამაშე მის წინააღმდეგ და ფეხის მძიმე ტრავმა მივიღე. მაგრამ ისე ვიყავი გახურებული და ბრძოლის ჟინით ატანილი, მინდორზე დავრჩი! ბიჭები ვერ დავტოვე — თასზე ვთამაშობდით. ათნი რჩებოდნენ თერთმეტის წინააღმდეგ. მერე კი დიდხანს დამჭირდა მკურნალობა. ურთულესი ოპერაცია გამიკეთა აბრამ ლანდამ, სახელგანთქმულმა ქირურგმა. ოპერაცია კი გამიკეთა, მაგრამ არ სჯეროდა, თუ ოდესმე თამაშს შევძლებდი.

● **თქვენ? თქვენ გჯეროდათ? მაშინ ხომ უკვე ოცდაცამეტისა იყავით.**

— წელიწად-ნახევარი მინდორს არ გავკარებივარ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე წუთითაც არ დამიკარგავს რწმენა, რომ ისევ ვითამაშებდი. ხალხს ვჭირდებოდი. და კიდეც დავბრუნდი.

● **გაგიჭირდათ პირველ ხანებში?**

— კი. ნამდვილად გამიჭირდა. ჯერ ერთი, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და თავდასხმაში ერთბაშად ორი ძველი პარტნიორი დავკარგე — ვიქტორ ბერეჟნოი და გაიოზ ჯეჯელავა. საჭირო გახდა ახალ პარტნიორებთან შეკავშირება, შეთამაშება. გარდა ამისა, ხანგრძლივმა შესვენებამაც თავისი ქნა. ბევრ რამეს თითქოს ხელახლა ვსწავლობდი. ამასთან წმინდა ფსიქოლოგიური შიში დამჩემდა, არ დამეჯახონ-მეთქი, ვფრთხილობდი. ერთი სიტყვით, 1949 წლის სეზონი არ იყო ისეთი, მე რომ მინდოდა. ცოტას ვთამაშობდი და ერთის მეტი გოლი არ გამიტანია.

● **ორმოცდაათში ბევრად გამოკეთდა საქმე — ოცდაერთ მატჩში ითამაშეთ და ცხრა ბურთი გაიტანეთ.**

— ასე იყო. მაგრამ მთავარი ციფრები როდია. ამასობაში ახალ პარტნიორებს შევეჩვიე, შევეწყვეთ ერთმანეთს. ფიზიკურადაც უფრო მოვმაგრდი, სეზონის ბოლოს კი მგონი, კიდეც დავეხმარე გუნდს ვვს-თან ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში. ბოლოსწინა მატჩში რიგელებს ჩვენს მინდორზე ვხვდებოდით. თავიდან ვერ ავაწყვეთ თამაში. ეგ კი არა, ვაგებდით კიდეც — 0:2. მეორე ტაიმში, ანგარიში რომ გათანაბრდა, ფეხბურთელი შეცვალეს და მე გავედი. კარგ ფეხზე გავედი — ორი ბურთი გავიტანე. ერთი გოლი, მე მგონია, მაყურებლებსაც მოეწონათ.

● **მაშ რამ გაიძულათ, რომ უკვე შემდეგ სეზონში ფეხბურთი მიგეტოვებინათ?**

— მე სერიოზულად ვემზადებოდი, მაგრამ მხოლოდ სამი არასრული მატჩის თამაში შევძელი. ძველი ტრავმა სულ უფრო ხშირად მახსენებდა თავს.

● **გაგიჭირდათ ამ გადაწყვეტილების მიღება?**

— თქვენ როგორ გგონიათ? ამდენი წელი შევწირე ფეხბურთს. მინდოდა, მწყუროდა თამაში. ფიზიკურად თავს საუცხოოდ ვგრძნობდი და დარწმუნებული ვარ, ორმოც წლამდე შემეძლო მეთამაშა. მაგრამ ეს ფეხი... ერთი სიტყვით, როცა მივხვდი, რომ გუნდს ვეღარაფერ სარგებლობას მოვუტანდი, წასვლა ვამჯობინე.

● **ბატონო ბორის, თქვენს გოლებს ითვლიდით?**

— არა, და ახლა ვნუხვარ ამას.

● **იქნებ იმიტომ, რომ ასს სულ ორი ბურთი დაგაკლდათ?**

— დიახ. მაშინ რომ მცოდნოდა, აუცილებლად ვეცდებოდი იმ ორი გოლის გატანასაც.

● **რომელი გოლია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი და ღირსსახსოვარი?**

ერთ ხანს დაფიქრდა:

— გამიჭირდება ერთი რომელიმე გოლის გამოყოფა.

● **მატჩი?**

— მატჩი თბილისში წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდთან 1939 წელს. თუ ამ შეხვედრას მოვიგებდით, მეორე ადგილისთვის ბრძოლის შანსი გვიჩნდებოდა. პირველი ტაიმი წავაგეთ — 1:4. გასახდელში ცოცხალმკვდრები შევედით. დანა კბილს არ გვიხსნიდა. ერთმანეთს თვალს ვეღარ ვუსწორებდით. მიხეილ ბუტუსოვმა, ჩვენი მწვრთნელი იყო, გაიცინა: მეტი გზა არ არის, ჩვენი საიდუმლო იარაღი უნდა გამოვიყენოთო. საწვრთნელ ვარჯიშებზე ერთი სიახლე დავამუშავეთ — თავდამსხმელებს ადგილები უნდა შეგვეცვალათ. ამ ვარიანტის გამოცდა შემდეგ შეხვედრაში გვქონდა განზრახული — ლენინგრადის „დინამოსთან“. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ იყო და გადავწყვიტეთ, ბედი გვეცადა. მეორე ტაიმში მხიარულად, გულმოცემულნი გავედით მინდორზე. მეტოქის მცველები ისე დავქანცეთ, ფეხზე ძლივს იდგნენ. ვერა და ვერ გაიგეს, რა მოხდა. მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 5:4. იგივე ვარიანტი მერე ლენინგრადელებთანაც გამოვიყენეთ და მოვიგეთ — 4:1. ასე დავიკავეთ პირველად მეორე ადგილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.

● **ხომ ვერ გაიხსენებთ ყველაზე ნაღვლიან მატჩს?**

— იმ მატჩის შედეგს ფეხბურთის ცნობარებში ვერ იპოვით. 1941 წლის 24 ივნისს თბილისში კალენდარულ მატჩს ვთამაშობდით ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. ომი ორი დღის დაწყებული იყო. წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე ვიქნებოდით. თამაში მოვიგეთ — 3:2. სამივე გოლი მე გავიტანე, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იოტისოდენა სიხარულიც არ მიგრძვნია. თამაში რომ დამთავრდა, მთელი სტადიონი ფეხზე ადგა. იდგნენ და დუმდნენ. ჩვენ ლენინგრადელები გადავკოცნეთ და გასახდელში ჩავედით. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ამ მატჩის ბევრი მონაწილე ვეღარასოდეს გამოვიდოდა საფეხბურთო მინდორზე...

ეს მატჩი კიდევ იმითაც მახსოვს, რომ ჩემს ცხოვრებაში პირველად მივაყენე ტრავმა მეტოქეს ლენინგრადელთა მეკარეს. თუმცა მე ბრალი არ მიმიძღოდა, მოსვენება დავკარგე. რამდენჯერმე მივაკითხე საავადმყოფოში ბოდიშის მოსახდელად. ის ამბავი რომ მომაგონდება, ახლაც ცუდად ვარ.

● **თავად თქვენ კი ალბათ ბევრჯერ გაუმწარებიხართ თქვენს მეურვეებს...**

— არც უმაგისობა იყო. აშკარად უხეშად მეთამაშებოდა ალეკრინსკი „მეტალურგიდან“. მახსოვს სხვა აბეზარი ფეხბურთელებიც. არც თვითონ თამაშობდნენ და არც მე მაძლევდნენ საშუალებას მეთამაშა. არაფერს ერიდებოდნენ. არადა, განზრახული უხეშობა მხოლოდ სისუსტის ნიშანია. უხეში ფეხბურთელი მეტოქეს ვერ შეეჯიბრება ვერც ტექნიკით, ვერც სისწრაფით და ვერც ოსტატობით. ისღა დარჩენია, უხეშად ითამაშოს... ნამდვილი ოსტატი მინდორზე ვაჟკაცი უნდა იყოს, არ უნდა უპასუხოს ამგვარ უზრდელობას, აბეზარ მეტოქეს თავი არ უნდა გაუტოლოს. უნდა მოითმინოს — გუნდის გულისათვის, მაყურებლის გულისათვის. ჩვენ მაყურებლისთვის ვთამაშობთ და მას პატივი უნდა ვცეთ.

აქ მინდა მცირე ხნით გავწყვიტო საუბრის ხაზი, რათა ამ შესანიშნავი ოსტატის პორტრეტი კიდევ ერთი შტრიხით შევავსო. მე დავთვალე ჩვიდმეტი შეხვედრა, როცა ბორის პაიჭაძემ გუნდის მარცხის შემდეგ გოლები გაიტანა და არა მარტო ქულების მოპოვებაში დაეხმარა ამხანაგებს, არამედ, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური სიმტკიცეც შესძინა მათ. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი:

1936 წელი. ბოლოსწინა მატჩი პირველობის აუტსაიდერთან „კრასნაია ზარიასთან“ დინამოელთა მინდორზე.

„დინამომ“ უნდა მოიგოს ეს მატჩი და... მერე ჩემპიონობაც აღარ არის შორს. მაგრამ თბილისელებმა მოულოდნელად წააგეს შეხვედრა — 2:3. მაგრამ წინ იყო კიდევ ერთი მატჩი — „ლოკომოტივთან“. თბილისის „დინამოს“ ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი, რომ პრიზიორებში მაინც გასულიყო. ამ ბრძოლაში ბორის პაიჭაძე გაუძღვა გუნდს, აიყოლია ამხანაგები, გოლიც გაიტანა და მისი დიდი დამსახურება იყო, რომ თავიანთ პირველ ჩემპიონატში დინამოელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. 1937 წელი. თბილისელებმა თავიანთ მინდორზე წააგეს მოსკოვის „დინამოსთან“ — 0:4. უკვე შემდეგ მატჩში მათ ამავე ანგარიშით დაამარცხეს „მეტალურგი“, სამი გოლი პაიჭაძემ გაიტანა. 1946 წელი. „დინამოს“ დიდებული სტარტი: 7 მატჩი — 7 მოგება. მერვე, პრინციპული შეხვედრა კი თბილისის გუნდმა წააგო წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელებთან — 0:2. გუნდი თითქოს სასოწარკვეთილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისელები არ გატყდნენ, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღოდა მათ ლიდერს. შემდეგ მატჩში თბილისის „დინამომ“ დაამარცხა „ტორპედო“ — 2:0. ორივე გოლი ბორის პაიჭაძემ გაიტანა.

● **ბატონო ბორის, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენზე უარყოფითი ემოციები არ მოქმედებდა.**

— არ არის სწორი. მე ყოველ მარცხს მეტად მტკივნეულად განვიცდიდი. შეიძლება სხვებზე მეტადაც კი. განსაკუთრებით ნათლად მახსოვს მატჩი „კრასნაია ზარიასთან“. ეს რაღაც კოშმარი იყო. სპორტში წაგება გარდაუვალია. ნამდვილმა სპორტსმენმა მინდორზე გამოსვლისას უნდა დაივიწყოს მარცხი. ამას მოითხოვს გუნდის ინტერესები. ბიჭებს სჯეროდათ ჩემი. მათი რწმენა კი მე ძალას მმატებდა.

● **რატომ თამაშობდით ასე „აგრესიულად“ კიეველებთან? 13 მატჩში 13 გოლი...**

— მე აგრესიულად ვთამაშობდი ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ. კიეველებთან კი ეს განსაკუთრებით კარგად გამომდიოდა, რადგან ჩვენი გუნდები სტილით მსგავსი იყვნენ. უკრაინელთა მცველებიც—ჯერ ლივშიცი, ომის მერე კი ლერმანი, რომლებსაც მუდამ ჩემი მეურვეობა ჰქონდათ დავალებული, ცოტა მოუხეშავები იყვნენ. მე სწორედ ამით ვსარგებლობდი.

● **ეტყობა, „სპარტაკს“ რაღაც ჯავშანი ჰქონდა პაიჭაძის წინააღმდეგ. ამ გუნდთან ნათამაშებ 10 მატჩში თქვენ მხოლოდ სამი გოლი გაიტანეთ.**

— ყველაფერი თასის გათამაშებით დაიწყო. 1936 წლის ივლისში, როცა ორჯერ მოგვიხდა სპარტაკელებთან მეოთხედფინალში ბრძოლა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიცნობდნენ კარგად. ანდრეი სტაროსტინმა, ეტყობა, ვერ დამაფასა, როგორც საჭირო იყო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ორჯერ ვაჯობე ეშმაკობით. მას შემდეგ სტაროსტინი მეტი პატივისცემით მეკიდებოდა. ანდრეის ეხმარებოდა დაუღალავი, დაუჯერებელი ამტანობის მქონე თავდამსხმელი სტეპანოვი, რომელიც ჩვენი იერიშების დროს გამუდმებით დაცვისაკენ იწევდა. ამან გამოიწვია დაბალი შედეგი.

● **დიდი მადლობა საუბრისათვის. ბოლოს კი ეს მინდა გკითხოთ: ფეხბურთელთა დღევანდელ თაობას რომ უყურებთ, წარსულის გამო სინანული ხომ არ გიპყრობთ?**

● მე, უდავოდ, ის ფეხბურთი უფრო მომწონს, რომელსაც ჩვენი თაობა თამაშობდა. შემტევი, ლია, შედეგიანი. მართალია, დღევანდელი ფეხბურთი უფრო სწრაფია, უფრო ინტენსიური; ამაღლდა ტექნიკური ოსტატობა, მეცნიერებაც ეხმარება სპორტს, მაგრამ... ჩვენ, მაგალითად, ბევრად ნაკლებს ვთამაშობდით. ნაკლებსაც ვვარჯიშობდით: დღეგამოშვებით, ორ-ორ საათს. სამაგიეროდ გამუდმებით ბურთისკენ მიგვიწევდა გული, ვარჯიში სიამოვნებას გვანიჭებდა. მწვრთნელებს ძალით გავყავდით მინდვრიდან. ახლა ყოველდღე ვარჯიშობენ. ორჯერადი და სამჯერადი ვარჯიშები შემოიღეს. მე მგონია, რომ ფეხბურთელებს მოჰყირჭდათ ბურთი. ჩვენთვის ფეხბურთი თამაში იყო, დღეს კი ის ბევრისთვის მძიმე სამუშაოა.

ახლა ხშირად ლაპარაკობენ უნივერსალიზმზე. მე უნივერსალიზმს ასე მესმის: თუ თავდამსხმელს შეუძლია კარგად შეუტიოს მარცხნივაც, მარჯვნივაც და ცენტრშიც, ის უნივერსალია. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ისეთი შესანიშნავი მცველისათვის, როგორიც იყო გივი ჩოხელი, თავდასხმაში დაევალებინათ თამაში, მეხსისთვის კი — დაცვაში. ფეხბურთი ორ საუკეთესო მოთამაშეს დაკარგავდა. თამაშის მიზანია ბურთის გატანა მეტოქის კარში.

ქართულ ფეხბურთს მდიდარი რეზერვი და მდიდარი ტრადიციები აქვს. აუცილებელია დავუბრუნოთ მას ყველა ის საუკეთესო თვისება, რითაც წინა თაობები გამოირჩეოდნენ.

აქსელ პართანიანი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ალმა-ათის „ქაირათს“ შორის (მატჩი გადმოტანილი იყო 21 აპრილის ტურიდან).

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:0.

„ზენიტი“ — პირველი ფინალისტი

გუშინ ლენინგრადში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა. ადგილობრივი „ზენიტი“ შეხვდა ვორონეჟის „ფაკელს“.

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 1:0. ლენინგრადის „ზენიტი“ გავიდა თასის გათამაშების ფინალში, რომელიც 24 ივნისს შედგება მოსკოვში.

საქართველოს პირველობა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს პირველობის მატჩები ფეხბურთში II ჯგუფის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „მშენებელი“ (ჵიათურა) — „იბერია“ (ქარელი) 3:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:3, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „იორი“ (თიანეთი) 0:0, „განთიადი“ (კასპი) — „ქიზიყი“ (წნორი) 3:1, „იმედი“ რუსთავი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:2.

დასავლეთი ზონა. „ავტომობილისტი“ აბაშა) — „ნარინჯი“ ნატანები) 1:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 2:0, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 4:1, „ნაპერწკალი“ (ოჭუმი) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 1:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:4, „სენაკი“ (ცხაკაია) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:2, „რაჟა“ (ამბროლაური) — „თოლია“ (ბათუმი) 2:2.

ევროპის ჩემპიონატი

5. პორტუგალია

„პორტუგალიელი გულშემატკივრები, რომლებიც ბოლო ხანებამდე მაინცდამაინც არ იყვნენ განებივრებულნი ეროვნული ნაკრების წარმატებებით, აღნიშნავდნენ ორ — „დიდ და პატარა საოცრებას“. „დიდ საოცრებას“ ისინი უწოდებდნენ პორტუგალიელთა მიერ მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილის დაკავებას, „პატარა საოცრებას“ კი — ევროპის ახლანდელი ჩემპიონატის ფინალში გასვლას. ამ „ორმა საოცრებამ“ გამოიწვია პორტუგალიის მაშინდელი და ახლანდელი ნაკრები გუნდების შედარება. მსაჯულის როლში გამოვიდა განთქმული ფეხბურთელი ეუსებიო. მისი აზრით, 1966 წელს პორტუგალიის ნაკრები კარგი ინდივიდუალისტებისგან შედგებოდა, ახლა კი მას გაცილებით მეტი კოლექტივიზმი და შეთამაშება ახასიათებს.

შესარჩევ ჯგუფში საქმე თავიდან ისე წავიდა, რომ პორტუგალიელებს „პატარა საოცრებაზე“ ოცნებაც კი არ შეეძლოთ. მოსკოვში განცდილმა მარცხმა თითქოს ყველაფერს ხაზი გადაუსვა, თანაც ნაკრებს სწორედ იმ დროს გამოეთხოვა გამოცდილი ბრაზილიელი მწვრთნელი ოტო გლორია. მან ვერაფერი გააწყო ორი წამყვანი კლუბის — ლისაბონის „ბენფიკასა“ და „პორტუს“ ხელმძღვანელებთან, ისინი ერთმანეთსაც ექიშპებოდნენ და არაერთგზის ჩაშალეს ეროვნული გუნდის შეკრება ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩების წინ. რახან საოცრებებზეა ლაპარაკი, შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდევ ერთიც — როგორც კი ოტო გლორიამ დატოვა ნაკრები და იგი მისმა ყოფილმა ასისტენტმა, 58 წლის ფერნანდო კაბრიტამ შეცვალა, „ბენფიკა“ და „პორტუ“ მყისვე შერიგდნენ, ნაკრებისთვის მოთამაშეები ალარავის დაუკავებია, პორტუგალიელებმაც მნიშვნელოვანი დასკვნითი მატჩები მოიგეს და ევროპის პირველობის ფინალშიც გავიდნენ.

პორტუგალიის ნაკრებს საფრანგეთში აუტსაიდერის როლს აკუთვნებენ და ისიც ალბათ შეეცდება სწორედ ეს გარემოება გამოიყენოს! განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩემპიონატის პირველ მატჩს გფრ-ის გუნდთან, მერე კი შეიძლება თავის გამოდება და არც ჩემპიონატის ოთხ უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრაა მიუღწეველი რამ.

მთელი რიგი საკონტროლო მატჩების შემდეგ მწვრთნელმა ფერნანდო კაბრიტამ დაადგინა გუნდის საბრძოლო შემადგენლობა. კარს თითქმის უცვლელად იცავს 36 წლის ბენტუ („ბენფიკა“, 43 მატჩი). ცალკეულ საკონტროლო შეხვედრებში ბენტუს ცვლიდნენ სილვინო (გიმარაეშის „ვიტორია“) და მატოში (პორტუს „ბოავისტა“).

ნაკრების დაცვის ხაზს ალბათ მთლიანად „პორტუს“ მოთამაშეებით დააკომპლექტებენ. ესენი არიან 22 წლის პინტო, 32 წლის ლიმა პერეირა, 28 წლის ეურიკო და მისი თანატოლი ინაციო. მწვრთნელის ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ არის: პორტუგალიის ამას წინათ დამთავრებულ ჩემპიონატში „პორტუმ“ 30 მატჩში სულ 9 ბურთი გაუშვა! ეს უჩვეულო შედეგია არა მარტო პორტუგალიის, არამედ საერთოდ, საერთაშორისო ფეხბურთისთვისაც. „პორტუს“ მცველების გარდა, საფრანგეთში გამგზავრების იმედი აქვთ „ბენფიკას“ მოთამაშეებსაც — 28 წლის პიეტრას, 34 წლის ჰუმბერტოს, 30 წლის ბაშტიშ ლოპეშსა და 26 წლის ველოზოს.

შუა ხაზი „ბენფიკის“ [illegible] ებით დაკომპლ[illegible] იან 26 წლის ჟოზე ლუიში, მისი თანატოლი კარლოს მანუელი და საჯარიმო დარტყმების ოსტატი, 25 წლის მოიერიშე ნახევარმცველი შალანა. ამ სამეულს უნდა დაემატოს „პორტუს“ ფეხბურთელი 26 წლის პაჩეკუც, რომელიც ნაკრების ბოლო მატჩებში საუცხოოდ თამაშობდა. მწვრთნელის განკარგულებაშია, აგრეთვე, 31 წლის ალვეში (პორტუს „ბოავისტა“) და ბრაგას „სპორტინგის“ ფრიად პერსპექტიული ნახევარმცველი, 22 წლის დიტო.

თავდასხმაში გამოყოფენ ორ შესანიშნავ ოსტატს — ჟორდაოს და გომეშს. 32 წლის ჟორდაო ლისაბონის „სპორტინგში“ გამოდის. იგი ნაკრებში ჯერ კიდევ მაშინ დაწინაურდა, როცა ამ გუნდში ეუსებიო თამაშობდა. გლორიამ მიიჩნია, რომ ჟორდაო ხანში შევიდა და ნაკრებიდან გამოიყვანა იგი, მაგრამ კაბრიტა არ დაეთანხმა მის აზრს და სწორიც გამოდგა: ჟორდაო ტექნიკური ფეხბურთელია, მან სისწრაფეც შეინარჩუნა და ნაკრების ბოლო მატჩებში ნამდვილად საუკეთესო იყო.

გულშემატკივრები კარგად იცნობენ 27 წლის გომეშს, რომელიც „პორტუში“ თამაშობს. იგი არაერთგზის იყო პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, 1983 წელს ევროპის „ოქროს ბუციც“ მოიპოვა, მაგრამ ნაკრებში გაცილებით ნაკლები წარმატებით გამოდის, ვიდრე საკუთარ კლუბში. ჟორდაოსა და გომეშის გარდა საფრანგეთში მიემგზავრება 18 წლის ჰაბუკი ფუტრე (ლისაბონის „სპორტინგი“), რომელსაც უკვე აქვს პირველ ნაკრებში თამაშის გამოცდილება.

პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის პირველობისთვის მზადების მიზნით რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა. აღნიშნავენ რა ცალკეულ ფეხბურთელთა ტექნიკასა და სისწრაფეს, მიმომხილველები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ ფიზიკურად გუნდი უწინდელზე ბევრად უკეთ არის მომზადებული.

ბიძინა გამრეკელი.

II ლიგა

5 ივნისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XI ტურის კალენდარული მატჩები.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „დილა“ (გორი) 2:1 (1:1).

თამაში დაიწყო ნელი ტემპით. ორივე გუნდი უმთავრესად მინდვრის შუაგულში მოქმედებდა და მხოლოდ ტაიმის დასასრულს მიაღწიეს მასპინძლებმა ტერიტორიულ უპირატესობას. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ხომასურიძემ კარგად ისარგებლა მეტოქის კართან შექმნილი არეულობით და დააწინაურა „მერცხალი“, მაგრამ მცირე ხანს მერე მასპინძელთა დაცვამ და მეკარემ არაზუსტად ითამაშეს, რითაც საშუალება მისცეს ანანიაშვილს საპასუხო ბურთი გაეტანა — 1:1.

გორელმა ფეხბურთელებმა აქტიურად, ხშირი იერიშებით დაიწყეს მეორე ტაიმი. მათ თავდამსხმელებს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს ეს მომენტები. შემდეგ „დილა“ დაცვაზე გადავიდა და ახლა უკვე მახარაძელებმა იგდეს ხელთ ინიციატივა. 86-ე წუთზე გორელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი კარგად გამოიყენა კვაჰანტირაძემ. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „მერცხალმა“.

ვალერიან შავიშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „არაზი“ (ნახიჩევანი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 0:0, „სპარტაკი“ ოქტემბერიანი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:2.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 7 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	10	7	1	2	20 8	15
„კოლხოზჩი“	10	6	1	3	12-6	13
„მერცხალი“	11	6	1	4	10-8	13
„სპარტაკი“	9	6	0	3	11-8	12
„ქიაფაზი“	9	5	1	3	17-10	11
„ლოკომ.“ ს.	10	5	1	4	9-9	11
„დილა“	10	4	3	3	13-9	11
„ყარაბახი“	10	5	0	5	11-13	10
„კოლხეთი“	9	4	2	3	13-13	10
„დინამო“ ს.	10	4	2	4	9-13	10
„ლოკომ.“ თბ.	11	4	1	6	9-13	9
„ავტომობილ.“	9	3	2	4	13-11	8
„შირაკი“	10	3	2	5	8-9	8
„არაზი“	10	3	2	5	6-10	8
„ხაზარი“	10	2	3	5	2-8	7
„მეშახტე“	9	2	2	5	6-10	6
„ოლიმპია“	9	1	2	6	4-15	4

სურათზე: თბილისისა და სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭაბუკთა ტურნირი გორში

გორი. (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.) კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და ფეხბურთის სკოლის თაოსნობით დაწესდა გორელი მწვრთნელის კ. თურაზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და გორის გუნდები.

გათამაშების პირველ დღეს ცხინვალის „კოსმოსმა“ ანგარიშით 5:0 დაამარცხა ქუთაისის „ბარიტი“, ქუთაისის ტორპედოელებმა მოუგეს ბათუმის „დინამოს“, ხოლო გორის „არწივისა“ და თბილისის „ავაზას“ შეხვედრა დამთავრდა გორელთა გამარჯვებით — 1:0.

მოზარდთა შეჯიბრება დამთავრდება ფეხბურთის დღეს — 10 ივნისს.

ილია თევდორაშვილი.

ინფორმაცია

ბრძოლა განახლდა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ბუგოინოს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ბრძოლა განახლდა. გაიმართა IX ტურის შეხვედრები.

გამარჯვების პირველი ქულა ჩაიწერა კოვაჩევიჩმა, რომელმაც ლარსენი დაამარცხა. ყაიმით დამთავრდა ლიუბოევიჩ — ტიმანის, გლიგორიჩ — ივანოვიჩის, რიბლი — სპასკის, სმისლოვ — ბელიავსკის და ანდერსონ — ტალის შეხვედრები. გადაიდო მაილს — ტორეს პარტია.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: იან ტიმანი (ჰოლანდია) — 6 ქულა, ზოლტან რიბლი (უნგრეთი)— 5,5, ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ბორის სპასკი — 5-5 და ეუგენიო ტორე (ფილიპინები) — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ტურნირის დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

ჩემპიონატიც, შესარჩევი ტურნირიც

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ვაჟთა ტრადიციული, 44-ე ჩემპიონატი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ (წილისყრის მიხედვით): დიდოსტატი ნინო გურიელი (რეიტინგი — 2316), ოსტატი დიმიტრი გედევანიშვილი (2330), ოსტატი გია გიორგაძე (2339), ოსტატობის კანდიდატი კარენ ბაბახანოვი (2273), საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა (2491), ოსტატობის კანდიდატი გრიგოლ ბიბილაშვილი (2200, რუსთავი), ოსტატობის კანდიდატი გია ბაღათუროვი (2301), ოსტატობის კანდიდატი გიორგი მაჭარაშვილი (2185), საერთაშორისო ოსტატი გენადი ზაიჩიკი (2477), ოსტატობის კანდიდატი ბესიკ ხეცურიანი (2216, ქუთაისი), ოსტატობის კანდიდატი ემილ მიქაელიანი (2209), ოსტატობის კანდიდატი დავით ჩაჩიბაია (2252), საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტურუა (2445), ოსტატი იგორ ეფიმოვი (2330), ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყებუჩავა (2218, ცხაკაია) და ოსტატი იური ჩიქოვანი (2302).

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ალექსი კუჭავამ გამოაცხადა, რომ I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ საბჭოთა კავშირის 52-ე ჩემპიონატის ნახევარფინალებში თამაშის უფლებას.

გაიმართა I ტურის შეხვედრები. ბიბილაშვილმა მოუგო მიქაელიანს. დაზავდნენ: გურიელი — ჩიქოვანი, გიორგაძე — ეფიმოვი, ბაბახანოვი — სტურუა, მაჭარაშვილი — ზაიჩიკი. სამი პარტია გადაიდო.

დღეს შედგება II ტური.

მეტი თავგამოდებით

სოხუმი, 6 ივნისი (ტელეფონით). მედიცინის მუშაკთა სახლში მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 41-ე ჩემპიონატის ფინალი.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ქეთევან კახიანი (გარდაბანი), ოსტატი ნინო მელაშვილი (თბილისი) — 3-3 ქულა, ოსტატი თამილა მესხი და ეკატერინა ფახიროვა (ორივე — ქუთაისი) — 2,5-2,5. 2-2 ქულა აქვთ ოსტატებს ქეთევან არახამიას, ციცინო კახაბრიშვილს (ორივე — თბილისი) და ციალა ქასოშვილს (გორი).

II-III ტურებში კახიანმა დაამარცხა ს. ნიკოლაძე (ქუთაისი) და ოსტატი ქ. მელაშვილი, ნინო მელაშვილმა — ოსტატები ც. კობაიძე და არახამია. ფახიროვამ მოუგო ნ. ფილიას, მესხმა — ლ. სადუნიშვილს, ხოლო ერთმანეთთან შეხვედრა მათ ყაიმით დაამთავრეს.

არახამიას მოგებული აქვს შეხვედრები ნ. წკეპლაძესთან და ი. კურცხალიასთან, ქასოშვილმა დაამარცხა თ. ფანიაშვილი და ნ. ხარლამიდი (პირველ ტურში მესხთან წააგო).

თამარ ხუბაშვილი,
ჩემპიონატის მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი.

სახალხო უნივერსიტეტის პირველი გამოშვება

ამ ორი წლის წინ, 1982 წლის 28 აპრილს, თბილისში გაიხსნა ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტი. სიახლეს მაშინვე გამოუჩნდნენ მხარდამჭერნი, რომელთა ხელშეწყობითაც საქმე შესანიშნავად აეწყო. რექტორატმა ლექციების წასაკითხად მიიწვია მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და ანატოლი კარპოვი, ცნობილი საბჭოთა დიდოსტატები და სპეციალისტები. ფრიად საინტერესო საუბრებს ჭადრაკზე დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მსმენელები, გარდა იმისა, რომ თეორიულ ცოდნას იძენდნენ, მონაწილეობდნენ ტურნირებშიც, სრულყოფდნენ თავიანთ ოსტატობას.

და აი, სწავლა დამთავრდა. 176 სტუდენტმა მთლიანად მოისმინა საუნივერსიტეტო პროგრამა. მათ შეიძინეს ცოდნა, რომელიც აუცილებელია ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის.

9 ივნისს (18 საათზე) თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ შეჯამდება სახალხო უნივერსიტეტის ორწლიანი მუშაობა და მოეწყობა მსმენელთა პირველი გამოშვება. კურსდამთავრებულებს გადაეცემათ დიპლომები და მოწმობები.

ათი ივნისი ფეხბურთის დღეა!

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მოუთმენლად მოელიან უახლოეს კვირადღეს, 10 ივნისს! ყველა, ვისაც კი ფეხბურთი უყვარს, უყვარს ეს მარად ცოცხალი, ხალისით აღსავსე თამაში, მზადაა მიაშუროს სტადიონს, მწვანე მინდორს, მოედნებსა და ველებს, თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საფეხბურთო დღესასწაულში და სხვებიც აიყოლიოს სათამაშოდ.

რა თქმა უნდა, ყველა სპორტკომიტეტს აქვს წინასწარ შემუშავებული გეგმა თუ როგორ უნდა აღნიშნოს უკვე ტრადიციად ქცეული ეს საზეიმო დღე. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმაც, თავის მხრივ, შეიმუშავა ფეხბურთის დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებათა გეგმა. ყველა რაიონის სპორტულ ბაზებზე გაიმართება ბურთის თამაში, კინოთეატრებში აჩვენებენ ფეხბურთის თემაზე გადაღებულ ფილმებს, მოეწყობა შეხვედრები ცნობილ ფეხბურთელებთან, დილის 10 საათიდან დაღამებამდე არ შეწყდება სადღესასწაულო სანახაობანი „ლოკომოტივის", „სინათლის", გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ჩაუდკამვოლის კომბინატის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, „გამარჯვების", „ავაზას", „სიხარულის", არმიის სპორტკლუბის, „ფეიქრის", „მეგობრობის", „ივერიის", „პიონერის", ოქროყანის სპორტული ბაზის, კიროვის სახელობის პარკის და სხვა სტადიონებზე, გაიმართება ამხანაგური შეხვედრები, კალენდარული შეჯიბრებები, მასობრივი ღონისძიებები, მინი-ფეხბურთის მატჩები, ეზოებისა და ქუჩების გუნდების შეხვედრები, კალენდარული მატჩები „ტყავის ბურთის" პრიზზე", თამაში წარმოება-დაწესებულებათა და სასწავლებლების გუნდებს შორის.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე 18 საათზე მოეწყობა „ტყავის ბურთის" პრიზის" საქალაქო ფინალურ შეჯიბრებათა საზეიმო გახსნა.

და, ბოლოს, „დინამოს" სტადიონზე შედგება სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად მნიშვნელოვანი კალენდარული მატჩი თბილისისა და მინსკის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა შორის.

„ფოლკსშტიმეს" სპეციალური ინტერვიუ კუბის სპორტის კერპთან

ალბერტო ხუანტორენა „ჩვენთვის შეუძლებელია ლოს-ანჯელესის თამაშებში მონაწილეობა"!

ვენაში (შვეხატში) საასპარეზოდ პირველად ჩამოვიდნენ საუკეთესო კუბელი მძლეოსნები, რომლებიც სტადიონის მახლობლად ჯერ-ჯერობით კოხტა სასტუმროში დაბინავდნენ. სპორტსმენებს მოულოდნელი ვიზიტი ელოდათ — გვიან ღამით მათ ესტუმრნენ კუბის ელჩი ავსტრიაში, გუსტავო მაზორა და ავსტრია-კუბის საზოგადოების დელეგაციის წევრები, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ სახელმოხვეჭილ ათლეტებს. სტუმრებს შორის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალბერტო ხუანტორენა ოლიმპიადების ისტორიაში შევიდა 400-და 800-მეტრიან დისტანციებზე რბენაში მოპოვებული გამარჯვებით — მსგავსი მიღწევა მანამდე არავის ჰქონია. შემდეგ დავასახელებთ მსოფლიოში ცნობილ სპრინტერს სილვიო ლეონარდს, რომელმაც 100 მეტრი 9,98 წამში დაფარა, და სხვა განთქმულ მძლეოსნებს.

„ფოლკსშტიმე" სარგებლობს შემთხვევით და მკითხველებს წარუდგენს კუბური სპორტის კერპს, სიმპათიურ ალბერტო ხუანტორენას. უიღბლობა რომ არა, იგი უდავოდ მეტ მედალს მოიხვეჭდა ოლიმპიურ სარბიელზე. 1980 წელს მოსკოვის თამაშებზე ხუანტორენა მძიმედ დაშავდა და 800 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი დაკარგა. ტრავმის მიუხედავად, შეუპოვარმა, დიდად ნიჭიერმა სპორტსმენმა V ადგილზე გასვლა შეძლო. სამი წლის შემდეგ კუბელ ათლეტს ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატში უნდა ესასპარეზა, სადაც მას უპირველეს ფავორიტად მიიჩნევდნენ 800 მეტრზე რბენაში. ხუანტორენამ დამაჯერებლად მოიგო წინასწარი შეჯიბრება, მაგრამ ისევ უმტყუნა ბედმა — იგი სარბენი ბილიკის ზღვარს გადასცდა, წაიქცა და მძიმედ დაშავდა. ამის შემდეგ ხუანტორენამ გადაწყვიტა ჩამოშორებოდა სპორტს, მაგრამ იმდენად პოპულარული იყო, რომ გამუდმებით იწვევდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში საასპარეზოდ და ისიც კვლავ და კვლავ გამოდიოდა სარბენ ბილიკზე.

ალბერტო ხუანტორენა დაიბადა 1950 წელს სანტ-იაგო დე კუბაში. ცოლშვილიანია, ჰყავს ქალ-ვაჟი (ალბერტიკო ექვსი წლისაა, ირიტა — ცხრისა). პროფესიით ეკონომისტია. არის კუბის კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის გამგეობის წევრი. ალბერტო ხუანტორენამ დღემდე სამ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა (მონრეალი, მიუნხენი, მოსკოვი) და უამრავი მედლობარი შეიძინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სახელმოხვეჭილი ათლეტის ჰობია ლიტერატურა, კინო და კალათბურთი, რომელსაც დიდი გატაცებით თამაშობს. შვეხატში ალბერტო ხუანტორენას ვთხოვე აზრი გამოეთქვა სოციალისტური ქვეყნების გადაწყვეტილებაზე — უარი თქვან ლოს-ანჯელესის თამაშებში მონაწილეობის მიღებაზე. „რასაკვირველია, ყველა სპორტსმენისათვის გულსატკენია ესოდენ შეუპოვარი და ხანგრძლივი მზადების შემდეგ ოლიმპიურ შეჯიბრებაზე უარის თქმა, — მიპასუხა მან. — მიუხედავად ამისა ეს სწორი ნაბიჯია. ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტურმა კამპანიამ ისეთი ატმოსფერო შექმნა, რომ ოლიმპიადის სარბიელზე გამოსვლა შეუძლებელი გახდა. ამ გადაწყვეტილების მიღების მთავარი მიზეზი ისაა, რომ გარანტირებული არ არის ლოს-ანჯელესში სპორტსმენთა უსაფრთხოების დაცვა. ოლიმპიადის დედაქალაქში სერიოზული საფრთხე გველოდა ჩვენ, სოციალისტური კუბის წარმომადგენლებსაც. ამასთანავე თამაშების კომერციული ხასიათი ოლიმპიური ქარტიის დარღვევასაც ნიშნავს. ჩემი აზრით, ასეთ პირობებში შეუძლებელია სპორტსმენთა გაგზავნა ლოს-ანჯელესში, სადაც მათ რეალური საშიშროება ემუქრებათ. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ოლიმპიური იდეალებისა და თამაშების ჰუმანური პრინციპების დასაცავად. სპორტულმა სამყარომ ბოლოს და ბოლოს უნდა აიძულოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომ მომავალში გარანტირებული იყოს მონაწილეთა უსაფრთხოება, რომ თამაშების მასპინძელმა სახელმწიფომ განუხრელად დაიცვას ოლიმპიური ქარტია". შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება ლოს-ანჯელესის თამაშების დონე სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობის გარეშე, ხუანტორენამ მიპასუხა: „დარწმუნებული ვარ, თამაშების დონე, სულ მცირე, 50 პროცენტით დაიწევს".

ავსტრიის გაზეთ „ფოლკსშტიმედან" თარგმნა **ლაშა დადიანმა.**

ნიჩბოსნობა
ლიდერების პოზიცია განიმტკიცეს

იმ სახეობათა შორის, რომლებიც ხალხთა სპარტაკიადაზე ჩასათვლელ ქულებს მრავლად იძლევა, ნიჩბოსნობას საპატიო ადგილი უჭირავს. ბოლო ხანებში სპორტის ამ სახეობის ხელახალი აღორძინებისა და პოპულარიზაციისათვის ბევრი რამ კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში — დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, რაც მთავარია, ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, განსაკუთრებით ქალიშვილებისა და ჭაბუკებისთვის. ერთ-ერთი ასეთი — საქართველოს პირველობა ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში — ამას წინათ ფოთში გაიმართა. 1966-1969 წლებში დაბადებული სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ. შეჯიბრებას ელფერი და დაძაბულობა შემატა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების მონაწილეობამ.

სექტემბერში უზბეკეთის დედაქალაქში სტარტს აიღებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც გოგონათა და ჭაბუკთა მომავალი პირველი საკავშირო თამაშების წინ ძალთა ერთგვარი შემოწმება იქნება. სპარტაკიადისათვის გულმოდგინედ ემზადებიან მთელი საბჭოთა კავშირისა და, მათ შორის, საქართველოს ნორჩი ნიჩბოსნები. ამაში ფოთის სტარტებმაც დაგვარწმუნა.

— აზერბაიჯანელი სპორტსმენები ფოთში სუსტი შემადგენლობით ჩამოვიდნენ და ფინალში ვერ მოხვდნენ, — გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის ნიჩბოსნობა-აფროსნობის განყოფილების უფროსმა გ. ფოცხიშვილმა — სამაგიეროდ, ჩვენს სპორტსმენებს მედგარი მეტოქეობა გაუწიეს სომხეთის ნიჩბოსნებმა, რომლებმაც თექვსმეტი საპრიზო ადგილი დაიკავეს. მათგან ექვსმა გამარჯვება დაისაკუთრა.

სარბიელზე პირველნი უმცროს ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე გოგონები და ბიჭები ჩაებნენ. (1968-1969 წლებში დაბადებულნი). მეტად დაძაბული ბრძოლა გაჩაღეს ერთადგილიანი ბაიდარით 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე თბილისელმა რ. ჰოხონელიძემ და სომხეთის გუნდის წარმომადგენელმა ა. მალხასიანმა. ქართველმა სპორტსმენმა ორივე სტარტი წააგო და მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ერთადგილიანი კანოებით შეჯიბრებაში ორივე დისტანციაზე ადვილად გაიმარჯვა თბილისელმა ს. დარბინიანმა, ხოლო ორადგილიანი კანოებით 500-მეტრიან დისტანციაზე ტოლი არ ჰყავდათ აფხაზეთის გუნდის წევრებს ი. ხომტარიასა და ს. კოლესოვს. ამ უკანასკნელმა თანაგუნდელ გ. ბანცაძესთან ყველას აჯობა 1000 მეტრზე შეჯიბრებაშიც. რაც შეეხება ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობას, ქუთაისელები მ. ფურცვანიძე და ა. სიდორენკო ფინიშთან მეორე მივიდნენ. 100-მეტრიან დისტანციაზე ჩვენს სპორტსმენებს ზ. მელაძესა და ო. პოტაპოვს ასევე მეორე ადგილი ხვდათ.

შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს გოგონებმა. 500-მეტრიან დისტანციაზე პირველობა არავის დაუთმო რუსთაველმა რ. ბარაბაძემ. მანვე თანაგუნდელ ე. ბარაბაძესთან ერთად ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაც მოიგო.

უმცროს თანატოლებს სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბეს უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წევრებმა ლ. ზიკოვამ (ერთადგილიანი ბაიდარა) და შ. ქობულაძე — ლ. ზიკოვას წყვილმა. ისინი მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ და პირველობა სომხეთის გუნდის წარმომადგენლებს დაუთმეს. სამაგიეროდ, გაგვახარეს ბიჭებმა. უფროს ასაკში (1966-1967 წ. წ.) ჩვენმა ნიჩბოსანმა ვაჟებმა ყველა ფინალური ორთაბრძოლა მოიგეს. განსაკუთრებით საგულისხმო იყო საქართველოს ნაკრების წევრების იგორ ნარიმანოვისა და კახა ლომიშვილის დამაჯერებელი გამარჯვება. კახამ ერთადგილიანი ბაიდარით, ხოლო იგორმა ერთადგილიანი კანოეთი ყველას აჯობეს 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის პოზიციები ნაკრებში.

ასევე ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის ნაკრების წევრების ზ. აფციაურ — ე. ქაშაკაშვილისა და დ. ბოგდანოვ — დ. გევორქიანის (თბილისი) წყვილებმა. პირველმა წყვილმა ორადგილიანი კანოებით მოიგო შეჯიბრება.

ჩვენი ვაჟების ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ძირითადად სწორედ მათ მოუწევთ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და. მაღალ დონეზე ჩაიარა, მაგრამ არ შეგვიძლია ჩრდილოვან მხარეებზეც არ გავამახვილოთ ყურადღება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღეს რესპუბლიკაში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ნიჩბოსნობის ქართულ სკოლას წინანდელი დიდება დაუბრუნონ. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იქნება, თუ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ადგილობრივი ხელმძღვანელობა უფრო მეტად არ დაინტერესდა სპორტის ამ სახეობის განვითარებით. როგორც შეჯიბრებამ დაგვარწმუნა, მეტი მონდომება მართებთ აჭარის სპორტის მესვეურთ, რადგან ნიჩბოსნობის მდიდარი ტრადიციების მქონე კუთხისთვის ამ შეჯიბრებაში დაკავებული ერთადერთი საპრიზო ადგილი ვერაფერი წარმატებაა. თანაც, ფოთში აჭარელმა სპორტსმენებმა მხოლოდ 43 ქულა მოაგროვეს და ბოლო, მეშვიდე ადგილზე დარჩნენ. პირველ ადგილზე გასულმა თბილისელმა თანატოლებმა მათ 141 ქულით გაუსწრეს.

ამ შეჯიბრების შედეგებით ვერც ქუთაისელი ნიჩბოსნები დაიკვეხნიან, რომლებიც 51 ქულით ბოლოსწინა, მეექვსე ადგილზე არიან.

ჩვენი აზრით, ამ საკითხს დროულად უნდა დავუფიქრდეთ.

ვაჟა დანელია.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 2 ივნისს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 22-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: გაიყიდა 469 806 ბარათი.

ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (ერთი ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ხუთისთვის (ოცი ბარათი) — 1926, ოთხისთვის (1384 ბარათი) — 30, სამისთვის (16969 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გაიყიდა 3 736 859 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3618 ბარათი) — 114, სამისთვის (101851 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება 13 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ზოზელია.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ჭავჭავაძის პრ. № 74)

8 ივნისი

ფეხბურთი

II ლიგა IX ზონა

„ლოკომოტივი" (თბილისი)— „დილა" (გორი)

დასაწყისი 19 საათზე

ავტომანქანების შესვლა სტადიონის ტერიტორიაზე მხოლოდ „დინამოსა" და „ლოკომოტივის" სტადიონების ავტოსაშვებით.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-31; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხუთარაულის. შ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

ИНДЕКС 66435

უე 01294